

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 320 2011 წლის 15 აგვისტო ქ.თბილისი**

**ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგრო
მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის
დამტკიცების თაობაზე**

მუხლი 1. „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №965 განკარგულებისა და „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №1140 განკარგულების გათვალისწინებით დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგრო მოწყობილობების შესახებ“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი).

მუხლი 2. საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, აქვეყნებს სტანდარტ(ებ)ს (სტანდარტების დასახელებას), რომელიც უზრუნველყოფს ამ დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებას.

მუხლი 3. ამ დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება გავრცელდეს მისი ამოქმედების შემდეგ აგებულ და ექსპლუატაციაში გაშვებულ საბაგრო მოწყობილობებზე, ბაზარზე განთავსებულ საბაგრო მოწყობილობების ქვესისტემებსა და უსაფრთხოების კომპონენტებზე.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის ამოქმედებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2011 წლის 15 აგვისტოს
N320 დადგენილებით

ტექნიკური რეგლამენტი

**ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგრო
მოწყობილობების შესახებ**

მუხლი 1

1. ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება საბაგრო მოწყობილობებზე, რომლებიც განკუთვნილია ადამიანების გადასაყვანად.

2. ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის საბაგრო მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია ადამიანების გადასაყვანად, არის რამდენიმე კომპონენტისგან შედგენილი მოწყობილობა, რომელიც დაპროექტებულია, დამზადებული, აგებული და გაშვებულია ექსპლუატაციაში ადამიანების გადაყვანის მიზნით. სტაციონარულად დამონტაჟებული საბაგრო მოწყობილობები გამოიყენება ადამიანების გადასაყვანად მოძრავი შემადგენლობის ან საბუქსირე მოწყობილობის საშუალებით, სადაც დაკიდება და/ან გაწევა უზრუნველყოფილია სამოდრაო მარშრუტის გასწვრივ განლაგებული ბაგირების მეშვეობით.

3. საბაგრო მოწყობილობებია:

ა) სარელსო ფუნქციური და სხვა მოწყობილობები თვლებზე ან სხვა მზიდ მექანიზმებზე მდგარი სატრანსპორტო საშუალებებით, სადაც გაწევა უზრუნველყოფილია ერთი ან მეტი ბაგირით;

ბ) კიდული ბაგირგზა, სადაც კაბინები დაკიდებულია და/ან გადაადგილდება ერთი ან მეტი გამწევი ბაგირით; ამგვარი ბაგირგზა შესაძლოა იყოს გონდოლებიანი და სავარძლიანი საწვევლებით;

გ) სათრეველა საწვევლები, როდესაც მომხმარებელი შესაბამისი აღჭურვილობით გადაადგილდება ბაგირის საშუალებით.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება: მისი ძალაში შესვლის შემდეგ აგებულ და ექსპლუატაციაში გაშვებულ საბაგრო მოწყობილობებზე, ბაზარზე განთავსებულ საბაგრო მოწყობილობების ქვესისტემებსა და უსაფრთხოების კომპონენტებზე.

5. ეს ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

ა) „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის N289 დადგენილებით გათვალისწინებულ მოწყობილობებზე;

ბ) ბაგირის საშუალებით გადაადგილებად ტრამვაიზე;

გ) სოფლის მეურნეობის მიზნით გამოყენებულ მოწყობილობებზე;

დ) საგამოფენო და/ან გასართობ პარკებში გამოყენებულ სტაციონარულ ან მოძრავ მოწყობილობებზე, რომლებიც განკუთვნილია გასართობი მიზნებისათვის და არა ადამიანთა გადასაყვანად;

ე) სამთო მომპოვებელ და სამრეწველო დანიშნულების მოწყობილობებზე;

ვ) ბაგირით მართვად ბორანებზე;

ზ) კბილანურ სარკინიგზო გზებზე;

თ) ჯაჭვით მოძრავ მოწყობილობებზე.

მუხლი 2

ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. მოწყობილობა – სტაციონარული სისტემის ერთობლიობა, რომელიც შედგება ინფრასტრუქტურისა და N1 დანართში ჩამოთვლილი ქვესისტემებისაგან, სადაც ინფრასტრუქტურა სპეციალურადაა დაპროექტებული თითოეული მოწყობილობისათვის და აგ-

ებულია სტაციონარულად, რომლებშიც მოიაზრება: პროექტი, მონაცემთა სისტემა, სადგურის ნაგებობები და ნაგებობები ხაზის გასწვრივ, რომლებიც აუცილებელია მოწყობილობის მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, მათ შორის, ფუმე-სადირკვლები.

2. უსაფრთხოების კომპონენტი – ნებისმიერი ძირითადი კომპონენტი ან კომპონენტების ერთობლიობა, ნახევრად აწყობილი ან აწყობილი ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც მიერთებულია მოწყობილობასთან და განკუთვნილია უსაფრთხოების ფუნქციების უზრუნველსაყოფად და რომლის გაუმართაობის შემთხვევაშიც საფრთხე ექმნება ადამიანების უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და საკუთრებას.

3. დამკვეთი – პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოწყობილობის აგებისათვის.

4. ქმედითობა – ყველა ტექნიკური მოთხოვნა და ზომა, რომელიც გავლენას ახდენს მოწყობილობის დაპროექტებასა და გამართვაზე და აუცილებელია მოწყობილობის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის.

5. გამძლეობა – ყველა ტექნიკური მოთხოვნა და ზომა, რომლებიც გავლენას ახდენს დაპროექტებასა და განხორციელებაზე და აუცილებელია კონსტრუქციის შესანარჩუნებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოწყობილობის უსაფრთხო მუშაობა.

6. ბაზარზე განთავსება – საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, პროდუქტის ბაზარზე პირველადი მიწოდება.

7. ნიშანდება – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნიშანდება, რომელიც დაიტანება პროდუქტზე და ასახავს ამ პროდუქტის შესაბამისობას შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტთან.

8. შესაბამისობის შემფასებელი პირი – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით უფლებამოსილი შესაბამისობის შემფასებელი პირი.

მუხლი 3

1. მოწყობილობა და მისი ინფრასტრუქტურა, ქვესისტემები და უსაფრთხოების კომპონენტები უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის N2 დანართით მათთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ტექნიკური მოთხოვნები ან მათი ნაწილი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, თუ მოწყობილობა, მისი ინფრასტრუქტურა, ქვესისტემები და უსაფრთხოების კომპონენტები დამზადებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული სტანდარტებით.

3. სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, ექვემდებარება გამოქვეყნებას.

მუხლი 4

1. დამკვეთის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე, ყველა დაპროექტებულ მოწყობილობას უნდა ჩაუტარდეს უსაფრთხოების ანალიზი, ამ ტექნიკური რეგლამენტის N3 დანართის შესაბამისად.

2. უსაფრთხოების ანალიზის ჩატარების შემდეგ უნდა შედგეს უსაფრთხოების ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ყველა არსებული რისკების მინიმუმამდე დაყვანის ზომებს, მათ შორის, უსაფრთხოების კომპონენტებისა და ქვესისტემების ჩამონათვალს, რომ-

ლებიც შესაბამის შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნებს.

მუხლი 5

1. უსაფრთხოების კომპონენტი ბაზარზე უნდა განთავსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მეშვეობით აგებული მოწყობილობები დააკმაყოფილებს მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს.

2. უსაფრთხოების კომპონენტი ექსპლუატაციაში გაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მეშვეობით აგებული მოწყობილობები საფრთხეს არ უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და/ან საკუთრებას, როდესაც ის სათანადოდაა დამონტაჟებული, შეკეთებული და გამოიყენება დანიშნულების მიხედვით.

3. არ იკრძალება იმ უსაფრთხოების კომპონენტების ბაზარზე განთავსება და ექსპლუატაციაში გაშვება, რომლებიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული უსაფრთხოების კომპონენტი, რომელსაც გააჩნია ნიშანდება და თან ახლავს ამ ტექნიკური რეგლამენტის N4 დანართში მითითებული შესაბამისობის დეკლარაცია, მიიჩნევა ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

5. უსაფრთხოების კომპონენტების ბაზარზე განთავსებამდე, მწარმოებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა:

ა) წარადგინოს უსაფრთხოების კომპონენტი შესაბამისობის შეფასების პროცედურაზე, N5 დანართის შესაბამისად;

ბ) დაიტანოს ნიშანდება უსაფრთხოების კომპონენტზე და შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია ამ ტექნიკური რეგლამენტის N4 დანართის შესაბამისად.

6. შესაბამისობის შემფასებელი პირი ახორციელებს უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობის შეფასების პროცედურას, უსაფრთხოების კომპონენტის მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნით.

7. როდესაც უსაფრთხოების კომპონენტებზე ვრცელდება სხვა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომლებიც ეხება უსაფრთხოების სხვა ასპექტებს და რომლებიც ასევე ითვალისწინებს ნიშანდების დატანას, ნიშანდება უნდა მიუთითებდეს, რომ უსაფრთხოების კომპონენტი ასევე შეესაბამება იმ ტექნიკური რეგლამენტის დებულებებსაც.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ იქნა შესრულებული უსაფრთხოების კომპონენტის მწარმოებლის და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ეს ვალდებულებები ეკისრება უსაფრთხოების კომპონენტის ბაზარზე განმთავსებელს.

მუხლი 6

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის N1 დანართით გათვალისწინებული ქვესისტემები ბაზარზე უნდა განთავსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მეშვეობით აგებული მოწყობილობები აკმაყოფილებს მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს.

2. არ იკრძალება მოწყობილობაში დასამონტაჟებელი იმ ქვესისტემების ბაზარზე განთავსება, რომლებიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტის N1 დანართით გათვალისწინებული ქვესისტემები, რომლებსაც გააჩნია ამ ტექნიკური რეგლამენტის N6 დანართში მითითებული შესაბამისობის დეკლარაცია, მიიჩნევა ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

4. ქვესისტემების შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან ქვესისტემების ბაზარზე განმათავსებლის მიერ შერჩეული შესაბამისობის შემფასებელი პირი, ამ ტექნიკური რეგლამენტის N7 დანართის შესაბამისად. შესაბამისობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მწარმოებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ან ქვესისტემების ბაზარზე განმათავსებელი ადგენს შესაბამისობის დეკლარაციას.

5. შესაბამისობის შემფასებელი პირი ადგენს გამოცდის შედეგების სერტიფიკატს და თანმხლებ დოკუმენტებს ამ ტექნიკური რეგლამენტის N7 დანართის შესაბამისად. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, რომელიც ეხება ქვესისტემის მახასიათებლებს, და შესაბამის შემთხვევაში ყველა დოკუმენტს, რომლებიც ადასტურებს უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობას. იგი ასევე უნდა მოიცავდეს ყველა შესაბამის დეტალს, რომლებიც ეხება გამოყენების პირობებს, შეზღუდვებსა და მომსახურების ინსტრუქციებს.

მუხლი 7

1. მოწყობილობებში გამოყენებული უსაფრთხოების კომპონენტები და ქვესისტემები, რომლებიც მოცემულია N1 დანართში, ექსპლუატაციაში გაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მეშვეობით აგებული მოწყობილობები საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და/ან საკუთრებას, როდესაც ის სათანადოდაა დამონტაჟებული, შეკეთებული და გამოიყენება დანიშნულების მიხედვით.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოწყობილობები ბაზარზე უნდა განთავსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებს მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტის N1 დანართით გათვალისწინებული ქვესისტემები და უსაფრთხოების კომპონენტები, რომელთაც გააჩნია ამ ტექნიკური რეგლამენტის N6 დანართში მითითებული შესაბამისობის დეკლარაცია, მიიჩნევა ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

4. კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილობის მშენებლობის ნებართვაზე განაცხადის წარდგენისას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად, დამკვეთმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს ასევე N1 დანართში მითითებულ უსაფრთხოების კომპონენტებსა და ქვესისტემებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ანალიზი, შესაბამისობის დეკლარაციები და ტექნიკური დოკუმენტაცია, ხოლო ასლები უნდა ინახებოდეს მოწყობილობის მფლობელთან.

5. ტექნიკური დოკუმენტაცია, უსაფრთხოების ანალიზი და უსაფრთხოების ანგარიში უნდა მოიცავდეს ყველა სათანადო ინფორმაციას, რომელიც ეხება მოწყობილობის მახასიათებლებს, და შესაბამის შემთხვევაში, N1 დანართში მითითებულ უსაფრთხოების კომპონენტებსა და ქვესისტემებთან დაკავშირებულ შესაბამისობის დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს. ტექნიკური დოკუმენტაცია ასევე უნდა შეიცავდეს დადგენილ აუცილებელ

პირობებს, მათ შორის, შეზღუდვებს ექსპლუატაციაზე, და დეტალურ ინფორმაციას მომსახურების ზედამხედველობაზე, მის გამართვასა და ტექნიკურ მომსახურებაზე.

6. არ იკრძალება იმ მოწყობილობის აგება და ბაზარზე განთავსება, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

7. მოწყობილობის ექსპლუატაცია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს უსაფრთხოების ანგარიშში მითითებულ პირობებს.

მუხლი 8

1. თუ უსაფრთხოების კომპონენტი, რომელსაც გააჩნია ნიშანდება ან მე-10 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ქვესისტემა, რომელსაც ახლავს შესაბამისობის დეკლარაცია, განთავსებულია ბაზარზე და დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენებისას იგი შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკის მაღალ დონეს, ასეთი უსაფრთხოების კომპონენტი ან/და ქვესისტემა არ უნდა განთავსდეს ბაზარზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი უკვე განთავსებულია ბაზარზე, უნდა შეჩერდეს მისი ექსპლუატაცია ან ამოღებულ იქნეს ბაზრიდან.

2. შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების საფუძვლები, კერძოდ:

ა) ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნების შეუსრულებლობა;

ბ) სტანდარტის არასწორი გამოყენება;

გ) ტექნიკური ხარვეზები, რომლებსაც შეიცავს შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნები და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

3. შესაბამისობის ნიშანდების მქონე უსაფრთხოების კომპონენტთან ან/და შესაბამისობის დეკლარაციის მქონე ქვესისტემასთან დაკავშირებული დარღვევებისას, თუ დარღვევები გამოწვეულია შესაბამისი სტანდარტის ხარვეზებით, შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანო აღნიშნულის შესახებ აცნობებს უსაფრთხოების კომპონენტისა და ქვესისტემის დამამზადებელს და უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას.

4. თუ ექსპლუატაციაში მყოფი მოწყობილობა დანიშნულების მიხედვით გამოყენებისას საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და/ან საკუთრებას, უფლებამოსილი ორგანო ზღუდავს ან აჩერებს მის ექსპლუატაციას.

მუხლი 9

1. ნიშანდება დაიტანება მკვეთრად და თვალსაჩინოდ უსაფრთხოების ყოველ კომპონენტზე, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში ნიშანდება დაიტანება უსაფრთხოების კომპონენტის ტექნიკურ დოკუმენტზე.

2. თუ დადგინდა, რომ უსაფრთხოების კომპონენტის დამამზადებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ნიშანდება დატანილია წესების დარღვევით, ისინი ვალდებული არიან მოიყვანონ ნაკეთობა ნიშანდების დატანის წინაპირობებთან შესაბამისობაში და მოახდინონ დარღვევათა აღმოფხვრა.

3. თუ შეუსაბამობა არ აღმოიფხვრა, მაშინ შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა შეიზღუდოს ან აიკრძალოს ასეთი უსაფრ-

თხოვების კომპონენტის ბაზარზე განთავსება ან უზრუნველყოს მათი ბაზრიდან ამოღება და აიკრძალოს/შეჩერდეს ექსპლუატაცია.

მუხლი 10

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად უსაფრთხოების კომპონენტის ან ქვესისტემების ბაზარზე განთავსების ან/და ექსპლუატაციის შეზღუდვის შემთხვევაში შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილმა ორგანომ აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პირს, რომელსაც უარი ეთქვა მოწყობილობის, უსაფრთხოების კომპონენტის ან/და ქვესისტემის ბაზარზე განთავსებაზე, და უნდა განუსაზღვროს შეუსაბამობების გამოსწორების პირობები.

დანართი N1

მოწყობილობის ქვესისტემები

ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის მოწყობილობა იყოფა ინფრასტრუქტურად და ქვესისტემებად:

1. ბაგირები და ბაგირების შეერთებები;
2. ამძრავები და მუხრუჭები;
3. მექანიკური აღჭურვილობა:
 - 3.1. ბაგირის დამხვევი დოლურა მოწყობილობა;
 - 3.2. სამანქანო სადგური;
 - 3.3. ხაზობრივი ნაგებობები;
4. სატრანსპორტო საშუალებები:
 - 4.1. კაბინები, სავარძლები და სათრევი მოწყობილობები;
 - 4.2. საკიდი მოწყობილობა;
 - 4.3. ამძრავი მოწყობილობა;
 - 4.4. ბაგირთან მაკავშირებლები;
5. ელექტროტექნიკური მოწყობილობები:
 - 5.1. მონიტორინგის, კონტროლისა და დამცავი ხელსაწყოები;
 - 5.2. კომუნიკაციის ხელსაწყოები და საინფორმაციო მოწყობილობები;
 - 5.3. მეხამრიდი მოწყობილობა;
6. სამაშველო მოწყობილობა:
 - 6.1. სტაციონარული სამაშველო მოწყობილობა;
 - 6.2. მოძრავი სამაშველო მოწყობილობა.

დანართი N2

უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები

მუხლი 1. მიზანი

ეს დანართი განსაზღვრავს ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოწყობილობების დაპროექტების, აგების და ექსპლუატაციაში გაშვების, მათ შორის, მათი გამძლეობისა და ქმედითობის მიმართ, ძირითად მოთხოვნებს.

მუხლი 2. ზოგადი მოთხოვნები

2.1. ადამიანების უსაფრთხოება

2.1.1. მომხმარებლების, დასაქმებულებისა და მესამე პირების უსაფრთხოება წარმოადგენს ძირითად მოთხოვნას მოწყობილობების დაპროექტების, აგების და ექსპლუატაციისას.

2.2. უსაფრთხოების პრინციპები

2.2.1. ყველა მოწყობილობა უნდა დაპროექტდეს და ფუნქციონირებდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) დაპროექტებისა და აგებისას აღმოფხვრას ან, თუ აღმოფხვრა შეუძლებელია, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მოწყობილობასთან დაკავშირებული რისკები;

ბ) განისაზღვროს და მიღებულ იქნეს საჭირო ზომები იმ რისკების წინააღმდეგ, რომელთა აღმოფხვრაც შეუძლებელი იყო დაპროექტებისა და აგების დროს;

გ) განისაზღვროს და დადგინდეს გამაფრთხილებელი ზომები იმ რისკებთან დაკავშირებით, რომელთა აღმოფხვრა ვერ მოხერხდა ამ ქვეპუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ქმედებების განხორციელების შედეგად.

2.3. გარემო პირობების გათვალისწინება

2.3.1. მოწყობილობა უნდა დაპროექტდეს და აიგოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იყოს მისი უსაფრთხოდ ფუნქციონირება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოწყობილობის ტიპი, იმ ადგილმდებარეობის ბუნებრივი და ფიზიკური თვისებები, სადაც ის არის განლაგებული, გარემო, ატმოსფერული და მეტეოროლოგიური ფაქტორები და შესაძლო დაბრკოლება, რომელიც განთავსებულია მოწყობილობის უშუალო სიახლოვეს – მიწაზე ან ჰაერში.

2.4. მოწყობილობის მახასიათებლები

2.4.1. მოწყობილობა, ქვესისტემები და ყველა მათი უსაფრთხოების კომპონენტი უნდა დაპროექტდეს და აიგოს იმგვარი უსაფრთხოების დონის გათვალისწინებით, რომ გაუძლოს მომავალში გამოვლენილ ყველა პროგნოზირებად ზემოქმედებას, მათ შორის, მოწყობილობის ფუნქციონირების შეჩერების დროს, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარე ზემოქმედების ფაქტორები, დინამიკური დატვირთვები და მასალის დაღლილობის გამოვლინებები.

2.5. აწყობა

2.5.1. მოწყობილობა, ქვესისტემა და ყველა უსაფრთხოების კომპონენტი უნდა დაპროექტდეს და აიწყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი უსაფრთხოდ აგება და დამონტაჟება;

2.5.2. უსაფრთხოების კომპონენტები უნდა დაპროექტდეს იმგვარად, რომ მათი აწყობისას გამოირიცხოს შეცდომები, კომპონენტზე შესაბამისი მითითების დატანის გზით.

2.6. მოწყობილობის გამართულობა

2.6.1. უსაფრთხოების კომპონენტი უნდა დაპროექტდეს და აიგოს იმგვარად, რომ მისი მოწყობრიდან გამოსვლის ალბათობა იყოს მინიმალური და ჰქონდეს უსაფრთხოების საკმარისი მარაგი, არ უნდა დაირღვეს უსაფრთხოების კომპონენტის მთლიანობა იმ მოწყობილობასთან, რომელშიც ის არის დამონტაჟებული. უსაფრთხოების კომპონენტი უნდა უზრუნველყოფდეს მოწყობილობის უსაფრთხოებას, როგორც ეს მითითებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის N3 დანართში;

2.6.2. მოწყობილობა უნდა დაპროექტდეს და აიგოს იმგვარად, რომ ექსპლუატაციისას, უსაფრთხოების კომპონენტის ნებისმიერი გაუმართაობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს უსაფრთხოების ზომების დროული მიღება, თუნდაც ეს გაუმართაობა არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენდეს მოწყობილობის უსაფრთხოებაზე;

2.6.3. ამ დანართის 2.6.1. და 2.6.2. პუნქტებში მითითებული უსაფრთხოების ზომები უნდა გამოიყენებოდეს კომპონენტების გეგმურ შემოწმებებს შორის პერიოდში. უსაფრთხოების კომპონენტების გეგმური შემოწმების პერიოდი ნათლად უნდა იყოს მითითებული ექსპლუატაციის ინსტრუქციაში;

2.6.4. მოწყობილობის სათადარიგო უსაფრთხოების კომპონენტები უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს;

2.6.5. მოწყობილობა უნდა დაპროექტდეს და აიგოს იმგვარად, რომ ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს მგზავრების უსაფრთხოება;

2.6.6. განსაკუთრებული ზომები უნდა იქნეს მიღებული მოწყობილობისა და ადამიანების მეხისგან დასაცავად.

2.7. უსაფრთხოების სისტემა

2.7.1. მოწყობილობის ნებისმიერი დეფექტი, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს დაზიანებაში და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უსაფრთხოების პირობების დარღვევა, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, უნდა გამოვლინდეს, გადაეცეს და დამუშავდეს უსაფრთხოების სისტემის მიერ. იგივე შეეხება ნებისმიერ სხვა გარე პროგნოზირებად მოვლენას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებას;

2.7.2. შესაძლებელი უნდა იყოს მოწყობილობის მექანიკური გამორთვა;

2.7.3. უსაფრთხოების სისტემის მიერ მოწყობილობის გაჩერების შემთხვევაში, შეუძლებელი უნდა იყოს მოწყობილობის ხელახალი ჩართვა, სანამ სათანადო უსაფრთხოების ზომები არ იქნება მიღებული.

2.8. გამძლეობა

2.8.1. მოწყობილობა უნდა იქნეს დაპროექტებული და აგებული იმგვარად, რომ გეგმურ ან სპეციალურ მომსახურებასა და შეკეთებასთან დაკავშირებული პროცედურები განხორციელდეს უსაფრთხოდ.

2.9. უარყოფითი ზემოქმედება მოწყობილობაზე

2.9.1. მოწყობილობა უნდა იქნეს დაპროექტებული და აგებული იმგვარად, რომ ნებისმიერი შიდა და გარე ფაქტორებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა, მავნე აირების, ხმაურის ან ვიბრაციის ჩათვლით, შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს.

მუხლი 3. მოთხოვნები ინფრასტრუქტურის მიმართ

3.1. განლაგება, სიჩქარე და მანძილი სატრანსპორტო საშუალებებს შორის

3.1.1. მოწყობილობა უნდა დაპროექტდეს ისე, რომ მისი შემდგომი ექსპლუატაცია საფრთხეს არ უქმნიდეს ადამიანებს მოწყობილობის ჩვეულებრივი ფუნქციონირების, სარემონტო სამუშაოების, ან შესაბამის შემთხვევებში ადამიანთა გადასარჩენად გამიზნული სამაშველო ოპერაციების დროს შემდეგი პირობების გათვალისწინებით: მოწყობილობის ადგილმდებარეობა და გარემო პირობების მახასიათებლები, ატმოსფერული და მეტეოროლოგიური პირობები, მოწყობილობის მოქმედების ზონაში, მათ შორის, მიწაზე ან ჰაერში განლაგებული ნაგებობები ან დაბრკოლებები;

3.1.2. საბაგრო სატრანსპორტო საშუალებებს, საბუქსირე მოწყობილობებს, სავალ გზებსა და ბაგირებს შორის, ასევე მათთან უშუალო სიახლოვეს, მიწაზე ან ჰაერში არსებულ ნაგებობებსა და დაბრკოლებებს შორის დაცული უნდა იქნეს საკმარისი ჰორიზონტალური და ვერტიკალური მანძილები. გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაგირების და სატრანსპორტო საშუალებების ან საბუქსირე მოწყობილობების ვერტიკალური, გასწვრივი და ჰორიზონტალური გადაადგილება, მუშაობის ყველაზე არახელსაყრელ პროგნოზირებად პირობებში;

3.1.3. საბაგრო სატრანსპორტო საშუალებებსა და მიწას შორის მაქსიმალური მანძილი უნდა განისაზღვროს ისე, რომ დაცული იყოს ადამიანთა უსაფრთხოება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მოწყობილობის მახასიათებლები, სატრანსპორტო საშუალების და შესაძლო სამაშველო ოპერაციების სახეობა. ღია კაბინის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ვარდნის რისკი, ასევე სატრანსპორტო საშუალებასა და მიწას შორის მანძილთან ასოცირებული ფსიქოლოგიური ასპექტები;

3.1.4. საბაგრო სატრანსპორტო საშუალების და საბუქსირე მოწყობილობას შორის მინიმალური მანძილი, მაქსიმალური სიჩქარე, აჩქარება და დამუხრუჭების უნარი უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანების უსაფრთხოებას და მოწყობილობის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

3.2. სადგურები და ნაგებობები საბაგრო გზის გასწვრივ

3.2.1. სადგურები და ნაგებობები საბაგრო გზის გასწვრივ უნდა დაპროექტდეს, დამონტაჟდეს და აღიჭურვოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი მდგრადობა. სადგურები და ნაგებობები პროგნოზირებად საექსპლუატაციო პირობებში უნდა უზრუნველყოფდეს ბაგირების, საბაგრო სატრანსპორტო საშუალებების და საბუქსირე მოწყობილობების უსაფრთხო მართვას და სარემონტო მომსახურების უსაფრთხო განხორციელებას;

3.2.2. მოწყობილობის შესასვლელი და გამოსასვლელი ადგილები უნდა დაპროექტდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბაგრო სატრანსპორტო საშუალებების, საბუქსირე მოწყობილობებისა და ადამიანების უსაფრთხო გადაადგილება. სადგურებში საბაგრო სატრანსპორტო საშუალებებისა და საბუქსირე მოწყობილობის მოძრაობა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ადამიანებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ საბაგრო სატრანსპორტო საშუალების მართვაში/გადაადგილებაში.

მუხლი 4. მოთხოვნები ბაგირების, ამძრავი მოწყობილობის, მუხრუჭების, მექანიკური და ელექტრომოწყობილობების მიმართ

4.1. ბაგირები და მათი სამაგრი ნაგებობები

4.1.1. ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით, იმისათვის რომ:

ა) თავიდან იქნეს აცილებული ბაგირების და მათი სამაგრი ნაგებობების მწყობრიდან გამოსვლა;

ბ) დაცულ იქნეს ბაგირებისა და სამაგრი ნაგებობების მინიმალური და მაქსიმალური დატვირთვების/დამაბულობის ზღვრები;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს ბაგირების საიმედო დამაგრება/დაკავშირება სამაგრი ნაგებობებზე ბაგირების თავიდან ასაცილებლად;

დ) ბაგირები და სამაგრი ნაგებობები უნდა უზრუნველყოფდეს მათი დათვალიერების/შემოწმების საშუალებას;

4.1.2. შეუძლებელია ბაგირის მიმმართველებიდან ამოვარდნის რისკის მთლიანად გამორიცხვა. ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა შესაძლებელი იქნეს ბაგირის აღდგენა და ბაგირის მიმმართველებიდან ამოვარდნის შემთხვევაში მოწყობილობის გამორთვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

4.2. მექანიკური მოწყობილობები

4.2.1. ამძრავი მოწყობილობა: M

ა) მოწყობილობის ამძრავი სისტემა უნდა იყოს თავსებადი და საკმარისად მძლავრი, რათა უზრუნველყოს მართვის სისტემის სხვადასხვა გათვალისწინებულ რეჟიმში მუშაობა;

4.2.2. სარეზერვო ამძრავი მოწყობილობა:

ა) მოწყობილობას უნდა გააჩნდეს სარეზერვო ამძრავი, რომელსაც გააჩნია ძირითადი ამძრავი სისტემისგან დამოუკიდებელი ელექტრომომარაგების წყარო. სარეზერვო ამძრავის არსებობა არ არის აუცილებელი, თუ მის გარეშეც მგზავრებს შეუძლიათ საბაგირო სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის, საბუქსირე მოწყობილობების, ადვილად, სწრაფად და უსაფრთხოდ დატოვება;

4.2.3. მუხრუჭი:

ა) საგანგებო სიტუაციებში, მათ შორის, ექსპლუატაციის ყველაზე არახელსაყრელ პირობებში, საექსპლუატაციო დატვირთვის და შვივის არასათანადო მოჭიდებისას, შესაძლებელი უნდა იყოს მოწყობილობის და/ან საბაგირო სატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერ დროს გაჩერება. სამუხრუჭე მანძილი უნდა იყოს ისეთი, რომ არ დაირღვეს მოწყობილობის უსაფრთხოება;

ბ) დამუხრუჭების დროს შენელება უნდა იყოს იმგვარი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანთა უსაფრთხოება, ბაგირების, სატრანსპორტო საშუალებისა და მოწყობილობის სხვა ნაწილების გამართული მუშაობა;

გ) ყველა საბაგირო მოწყობილობას უნდა გააჩნდეს ორი ან მეტი სამუხრუჭე სისტემა, თითოეულს უნდა შეეძლოს მოწყობილობის გაჩერება და ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ძირითადი მოქმედი სამუხრუჭე სისტემის მწყობრიდან გამოსვლისას ავტომატურად ჩაანაცვლოს იგი. საწევი ბაგირის სამუხრუჭე სისტემათაგან ერთ-ერთი დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ ამძრავ შვივზე. აღნიშნული არ ვრცელდება სათრეველა საწეველებზე;

დ) მოწყობილობა აღჭურვილი უნდა იყოს ეფექტური სამაგრი და ჩამკეტი მექანიზმით, რათა გამორიცხული იყოს მოწყობილობის გაუთვალისწინებელი განმეორებითი ჩართვა.

4.3. მართვის მოწყობილობები

4.3.1. მართვის მოწყობილობები უნდა იყოს დაპროექტებული და აგებული იმგვარად, რომ იყოს უსაფრთხო და უძლებდეს ნორმალურ სამუშაო დატვირთვას და ისეთ გარე ფაქტორებს, როგორებიცაა სინესტე, ექსტრემალური ტემპერატურა ან ელექტრომაგნიტური ხარვეზები და არ ქმნიდეს ხიფათს, მათ შორის, ოპერაციული შეცდომის შემთხვევაშიც.

4.4. საკომუნიკაციო მოწყობილობები

4.4.1. საბაგრო მოწყობილობას უნდა გააჩნდეს კომუნიკაციის სათანადო მოწყობილობები, რათა მომუშავე პერსონალს ნებისმიერ დროს შეემლოს ერთმანეთთან დაკავშირება და საგანგებო სიტუაციებში მომხმარებლების შესაბამისი ინფორმირება.

მუხლი 5. სატრანსპორტო საშუალებები და საბუქსირე მოწყობილობები

5.1. სატრანსპორტო საშუალებები და/ან საბუქსირე მოწყობილობები უნდა დაპროექტდეს და აღიჭურვოს იმგვარად, რომ პროგნოზირებად სამუშაო პირობებში გამორიცხულ იქნეს ადამიანის გადმოვარდნა ან ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი რისკი.

5.2. სატრანსპორტო საშუალებებისა და საბუქსირე მოწყობილობების აღჭურვილობა უნდა იყოს დამზადებული იმგვარად, რომ არ დაზიანდეს ბაგირი, გამორიცხულ უნდა იქნეს აღნიშნული აღჭურვილობის გასრიალება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიც კი გასრიალება არსებით საფრთხეს არ უქმნის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოებას, საბუქსირე მოწყობილობას ან მოწყობილობას.

5.3. სატრანსპორტო საშუალებების კარები (ვაგონებზე, კაბინებზე) უნდა იყოს დაპროექტებული და აგებული იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი დახურვა და ჩაკეტვა. სატრანსპორტო საშუალების იატაკი და კედლები უნდა იყოს დაპროექტებული და აგებული იმგვარად, რომ გაუძლოს ზეწოლას და დატვირთვას მომხმარებლებისგან ნებისმიერი გარემოების დროს.

5.4. თუ სამუშაოს უსაფრთხოებისათვის ოპერატორს მოეთხოვება, რომ იმყოფებოდეს საბაგრო სატრანსპორტო საშუალებაში, მაშინ ეს უკანასკნელი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც საშუალებას მისცემს ოპერატორს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

5.5. სატრანსპორტო საშუალებები და/ან საბუქსირე მოწყობილობები, კერძოდ კი, მათი შეჩერების მექანიზმები უნდა იყოს დაპროექტებული და აღჭურვილი იმგვარად, რომ უზრუნველყოფდეს მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებას სარემონტო სამუშაოების დროს.

5.6. თუ სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილია მოხსნადი სამაგრებით, ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა სატრანსპორტო საშუალებამ რისკის შექმნის გარეშე მიაღწიოს გაჩერების ადგილს. სატრანსპორტო საშუალების გამგზავრების და ჩამოსვლის დროს, თუ მოხსნადი სამაგრები არასწორად მიუერთდა ან ჩაეხსნა ბაგირს, ასეთ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს სატრანსპორტო საშუალების ჩამოვარდნა.

5.7. ფუნქციონირის სატრანსპორტო საშუალებები და ორბაგირიანი ბაგირგზის მოწყობილობები, თუ ამ უკანასკნელთა კონსტრუქციული თავისებურებები ამის საშუალებას იძლევა, აღჭურვილი უნდა იყოს ავტომატური სამუხრუჭე მოწყობილობით.

5.8. იმ შემთხვევაში, თუ სხვა ზომების გამოყენებით ვერ იქნა გამორიცხული სატრანსპორტო საშუალების გზიდან გადასვლის რისკი, მაშინ სატრანსპორტო საშუალება უნდა აღიჭურვოს გზიდან გადასვლის საწინააღმდეგო მოწყობილობით, რამაც უნდა უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებით ადამიანების უსაფრთხოდ გადაყვანა გაჩერების ადგილამდე.

6. მოწყობილობა მომხმარებლებისათვის

6.1. სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისა და გაჩერებისას მგზავრთა გამგზავრება და დაბრუნება უნდა იყოს ორგანიზებული უსაფრთხოდ, მათ შორის, იმ ადგილებში, სადაც არსებობს ადამიანთა ჩამოვარდნის საფრთხე;

6.2. ბავშვებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ მოწყობილობის უსაფრთხოდ გამოყენების საშუალება, თუ მოწყობილობა ითვალისწინებს მათი გადაყვანის შესაძლებლობას.

7. ქმედითობა

7.1. უსაფრთხოება:

7.1.1. მოწყობილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ყველა მიღებული უსაფრთხოების ზომა უნდა უზრუნველყოფდეს მოწყობილობის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ტექნიკური სპეციფიკაციისა და საექსპლუატაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. მოწყობილობის გამოყენებისა და სარემონტო მომსახურების ინსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს მის ტექნიკური სპეციფიკაციისა და საექსპლუატაციო მოთხოვნებს. ინსტრუქცია და მისი დანართები შეიძლება იყოს შედგენილი ნებისმიერ ენაზე;

7.1.2. მოწყობილობის მუშაობისათვის პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი მატერიალური რესურსებით და უნდა გააჩნდეთ საკმაო კვალიფიკაცია დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

7.2. უსაფრთხოება მოწყობილობის გამორთვის შემთხვევაში:

7.2.1. მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რათა მოწყობილობის ტიპისა და მისი გარემო პირობების გათვალისწინებით, შესაბამის დროში უზრუნველყოფილ იქნეს მომხმარებელთა უსაფრთხოება, როდესაც მოწყობილობა გამორთულია და ვერ ხერხდება მისი სწრაფი ხელახალი ჩართვა;

7.3. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა სპეციალური მოთხოვნები:

7.3.1. ოპერატორების მართვის ინსტრუმენტები და სამუშაო ადგილი:

ა) მოძრავი ნაწილები, რომლებიც მართვის სადგურებში ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია, დაპროექტებული, დამზადებული და დამონტაჟებული, უნდა იქნეს იმგვარად, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი საფრთხე. საფრთხის არსებობის შემთხვევაში ისინი აღჭურვილნი უნდა იყვნენ დამცავი მოწყობილობებით, რათა გამოირიცხოს მოწყობილობის ნაწილებთან ნებისმიერი კონტაქტი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს უბედური შემთხვევა. ასეთი მოწყობილობები უნდა იყოს იმგვარი, რომ შეუძლებელი იყოს მათი ადვილად მოხსნა და მწყობრიდან გამოყვანა;

7.3.2. ვარდნის რისკი:

ა) სამუშაო ადგილი, მათ შორის, ისეთიც, რომელიც იშვიათად გამოიყენება, ასევე მასთან მისასვლელი დაპროექტებული და აგებული უნდა იყოს იმგვარად, რომ გამოირიცხოს იმ ადამიანების ვარდნა, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მოძრაობენ ან მუშაობენ. იმ შემთხვევაში, თუ კონსტრუქცია არ არის დაპროექტებული და აგებული იმგვარად, მაშინ გათ-

ვალისწინებული უნდა იყოს ჩამოვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალების სამაგრი წერტილები.

დანართი N3

უსაფრთხოების ანალიზი

1. უსაფრთხოების ანალიზი, რომელიც შეეხება ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ საბაგრო მოწყობილობებს, უნდა მოიცავდეს საბაგრო მოწყობილობისთვის დადგენილ ყველა სამუშაო რეჟიმს.

2. ანალიზი უნდა განხორციელდეს დადგენილი მეთოდების გამოყენებით და ითვალისწინებდეს ტექნოლოგიების განვითარების არსებულ დონეს და შესაბამის შემთხვევებში მოწყობილობის სირთულეს.

3. მოწყობილობის დიზაინი და კონფიგურაცია უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი გარემოს თავისებურებებს და ყველაზე პროგნოზირებად არახელსაყრელ პირობებს, რომლებშიც მოწყობილობა შეიძლება აღმოჩნდეს. იგი უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოების დამაკმაყოფილებელ დონეს.

4. ანალიზი უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების ხელსაწყოებს და მათ ზემოქმედებას მოწყობილობასა და მასთან დაკავშირებულ ქვესისტემებზე. უსაფრთხოების ხელსაწყოები უნდა მოქმედებდეს იმგვარად, რომ:

ა) შეეძლოთ რეაგირება გამოვლენილ პირველად გაუმართაობაზე ან ავარიაზე ისე, რომ მუშაობის შენელების ან საავარიო შეჩერების რეჟიმის გამოყენებით შენარჩუნებულ იქნეს უსაფრთხოება;

ბ) წარმოადგენდნენ სარეზერვო ნაწილს და ექვემდებარებოდნენ კონტროლს;

გ) შესაძლებელი იყოს მათი სავარაუდო გაუმართაობის შეფასება და ისინი იყვნენ იმ უსაფრთხოების მოწყობილობის ეკვივალენტური, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. უსაფრთხოების ანალიზი უნდა მოიცავდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, რისკებისა და საფრთხის შემცველი გარემოებების ანალიზს და ჩამონათვალს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული უსაფრთხოების კომპონენტების ჩამონათვალს. უსაფრთხოების ანალიზის შედეგები უნდა შეჯამდეს უსაფრთხოების შესახებ ანგარიშში.

დანართი N4

უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობის დეკლარაცია

1. ეს დანართი ადგენს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უსაფრთხოების კომპონენტებისათვის ამავე რეგლამენტის N2 დანართით განსაზღვრულ უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნების დეკლარირების წესს.

2. შესაბამისობის დეკლარაცია და თანდართული დოკუმენტები უნდა იყოს დათარიღებული და ხელმოწერილი. იგი შეიძლება შედგენილ იყოს ნებისმიერ ენაზე.

3. დეკლარაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მითითებებს ამ ტექნიკურ რეგლამენტზე;

ბ) დამამზადებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელს და იურიდიულ მისამართს. უფლებამოსილმა წარმომადგენელმა აგრეთვე უნდა მიუთითოს დამამზადებლის სახელი და იურიდიული მისამართი;

გ) კომპონენტების აღწერას (მარკა, ტიპი და ა.შ.);

დ) გამოყენებული შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ;

ე) ყველა შესაბამის მოთხოვნას, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს კომპონენტები, მათ შორის, გამოყენების პირობებს;

ვ) იმ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს სახელსა და იურიდიულ მისამართს, რომელიც ჩართული იყო შესაბამისობის შეფასების პროცედურებში, ასევე შესაბამისობის გამოცდის სერტიფიკატის მოქმედების ვადას და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ზ) შესაბამის შემთხვევებში მითითებებს გამოყენებულ სტანდარტზე;

თ) ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

დანართი N5

უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობის შეფასება

ნაწილი I

1. მოქმედების სფერო

1.1. ეს დანართი ადგენს მოთხოვნებს უსაფრთხოების კომპონენტების, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და N2 დანართში, მითითებულ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმებისათვის. დანართი ეხება როგორც ერთი, ასევე რამდენიმე შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ განხორციელებულ შესაბამისობის შეფასებებს.

2. შეფასების პროცედურები

2.1. შეფასების პროცედურები შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ დაპროექტების და წარმოების ეტაპზე ხორციელდება ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით. მეწარმის არჩევანის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვემოთ მოცემული ცხრილით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების პროცედურების ერთ-ერთი კომბინაცია.

უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობის შეფასება

პროექტირება	წარმოება
1. ტიპის გამოცდა მოდული B	1. (ა) წარმოების ხარისხის უზრუნველყოფა მოდული D
	1. (ბ) პროდუქტის დამოწმება მოდული F
2. ხარისხის სრული უზრუნველყოფა მოდული H	2. ხარისხის სრული უზრუნველყოფა მოდული H
3. ერთეულის დამოწმება მოდული G	ერთეულის დამოწმება მოდული G

ნაწილი II ტიპის გამოცდა (მოდული B)

1. უსაფრთხოების კომპონენტის ტიპის გამოცდა:

ა) ტიპის გამოცდა წარმოადგენს პროცედურას, როდესაც შესაბამისობის შემფასებელი პირი ადასტურებს და გასცემს სერტიფიკატს, რომ წარმოდგენილი უსაფრთხოების კომპონენტის ნიმუში, მოწყობილობაში მისი დანიშნულებისამებრ დამონტაჟების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან იმ მოწყობილობის შესაბამისობას, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს კომპონენტი;

ბ) ტიპის გამოცდაზე განაცხადი უსაფრთხოების კომპონენტების დამამზადებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ წარედგინება თავისი შეხედულებისამებრ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს;

გ) განაცხადი უნდა შეიცავდეს:

გ.ა) უსაფრთხოების კომპონენტების დამამზადებლის დასახელებას ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დასახელებას იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი წარედგინება ამ უკანასკნელის მიერ;

გ.ბ) დეკლარაციას, წერილობითი ფორმით, მასზედ, რომ ანალოგიური განაცხადი არ ყოფილა წარდგენილი სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირთან;

გ.გ) ამ ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მოცემულ ტექნიკურ დოკუმენტაციას;

დ) განმცხადებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირის მოთხოვნის საფუძველზე, უნდა წარადგინოს პროდუქტის ნიმუში. შესაბამისობის შემფასებელ პირს ასევე შეუძლია დასაბუთებულად მოითხოვოს დამატებითი სპეციფიკაციები შესაბამისობის შეფასების მიზნით;

ე) ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობის შეფასება, ამ ტექნიკური რეგლამენტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან, იგი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას უსაფრთხოების კომპონენტის დაპროექტების, წარმოების და ფუნქციონირების შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია შესაბამის შემთხვევებში უნდა შეიცავდეს:

ე.ა) პროდუქტის ნიმუშის ზოგად აღწერილობას;

ე.ბ) პროექტის კონცეპტუალურ ნაწილს, საწარმოო ნახაზებს და კომპონენტების სქემებს, მის ნაწილებს და წრედებს;

ე.გ) წარმოდგენილი ნახაზებისა და სქემების განმარტებებს უსაფრთხოების კომპონენტის დანიშნულების აღსაქმელად;

ე.დ) მითითებას გამოყენებული სტანდარტების შესახებ, ხოლო სფეროებში, სადაც არ არსებობს შესაბამისი სტანდარტი, ინფორმაციას უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მიღებული/გატარებული ღონისძიებების შესახებ;

ე.ე) საპროექტო გათვლების მონაცემებს, ინფორმაციას ჩატარებული გამოცდების შესახებ და შემოწმების ანგარიშებს;

ე.ვ) დოკუმენტაცია უნდა მიუთითებდეს უსაფრთხოების კომპონენტის გამოყენების სფეროს.

2. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა:

2.1. შეამოწმოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რათა დაადგინოს პროდუქტის შესაბამისობა მასთან და განსაზღვროს ის კომპონენტები, რომლებიც წარმოებულია და რომლებიც არ არის წარმოებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით;

2.2. ჩაატაროს სათანადო შემოწმებები და აუცილებელი გამოცდები იმ შემთხვევაში, როდესაც უსაფრთხოების კომპონენტების დაპროექტებისას არ იქნა გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები, რათა დაადგინოს, თუ რამდენად შეესაბამება დამამზადებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს;

2.3. ჩაატაროს შესაბამისი შემოწმებები და აუცილებელი გამოცდები, რათა დაადგინოს მართებულად იქნა თუ არა გამოყენებული დამამზადებლის მიერ შერჩეული შესაბამისი სტანდარტები;

2.4. უნდა შეათანხმოს განმცხადებელთან ადგილმდებარეობა, სადაც ჩატარდება შემოწმებები და აუცილებელი გამოცდები.

3. თუ უსაფრთხოების კომპონენტის წარმოდგენილი ნიმუში შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, მაშინ შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა გასცეს ტიპის გამოცდის სერტიფიკატი. სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს უსაფრთხოების კომპონენტის დამამზადებლის დასახელებას და მისამართს, დასკვნებს შემოწმების შედეგებზე, სერტიფიკატის მოქმედების ვადას და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობებს და დამტკიცებული ტიპის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაციას. სერტიფიკატს დანართის სახით თან უნდა ახლდეს ტექნიკური დოკუმენტაციის სათანადო ნაწილები, რომელთა ასლს აგრეთვე უნდა ინახავდეს შესაბამისობის შემფასებელი პირი. თუ შესაბამისობის შემფასებელი პირი უარს აცხადებს ტიპის გამოცდის სერტიფიკატის გაცემაზე, მან დეტალურად უნდა წარმოადგინოს უარის თქმის მიზეზები.

4. უსაფრთხოების კომპონენტის დამამზადებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია აცნობოს სერტიფიკატის გამცემ შესაბამისობის შემფასებელ პირს უსაფრთხოების კომპონენტის ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის უსაფრთხოებაზე ან მისი გამოყენების პირობებზე. აღნიშნული ცვლილებები ექვემდებარება შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ დამატებითი დამტკიცების პროცედურას. აღნიშნული დამატებითი დამტკიცება თან უნდა ერთვოდეს თავდაპირველი ტიპის გამოცდის სერტიფიკატს.

5. ყველა შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია შესაბამისობის შემფასებელ სხვა პირებს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გაცემული და ანულირებული ტიპის გამოცდის სერტიფიკატის და მისი დანართების შესახებ.

6. სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ გაცემული ტიპის გამოცდის სერტიფიკატის ასლები.

7. უსაფრთხოების კომპონენტის დამამზადებელი, მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ან ბაზარზე განმათავსებელი ვალდებულია ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად შეინახოს ტიპის გამოცდის სერტიფიკატის ასლები და მათი დამატებები, უსაფრთხოების კომპონენტის ბოლო დამზადებიდან 30 წლის განმავლობაში.

ნაწილი III წარმოების ხარისხის უზრუნველყოფა (მოდული D)

1. ეს მოდული განსაზღვრავს პროცედურებს, რომლის საშუალებითაც დამამზადებელი უზრუნველყოფს და აცხადებს, რომ მის მიერ წარმოებული უსაფრთხოების კომპონენტი შეესაბამება გამოცდის სერტიფიკატში მითითებულ ნიმუშს და აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა თითოეულ უსაფრთხოების კომპონენტზე უნდა დაიტანოს შესაბამისობის ნიშანდება და შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია. შესაბამისობის ნიშანდებას თან უნდა ახლდეს შესაბამისობის სერტიფიკატის გამცემი შესაბამისობის შემფასებელი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი.

2. დამამზადებელს უნდა გააჩნდეს წარმოების, დამონტაჟების, საბოლოო ინსპექტირებისა და გამოცდების დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ამ ნაწილის მე-3 პუნქტის შესაბამისად და ახორციელებდეს მის ზედამხედველობას ამ ნაწილის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

3. ხარისხის სისტემა

3.1. უსაფრთხოების კომპონენტების დამამზადებელმა ხარისხის სისტემის შეფასებისათვის განაცხადი უნდა წარუდგინოს მის მიერ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს:

3.1.1. განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) სრულ ინფორმაციას წარმოდგენილი უსაფრთხოების კომპონენტის კატეგორიის შესახებ;

ბ) დოკუმენტაციას ხარისხის სისტემის შესახებ;

გ) შესაბამის შემთხვევებში ტექნიკურ დოკუმენტაციას სერტიფიცირებულ ნიმუშზე და ნიმუშის გამოცდის სერტიფიკატის ასლს;

3.2. ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობა ნიმუშის გამოცდის სერტიფიკატში აღწერილ ნიმუშსა და ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან:

3.2.1 დამამზადებლის მიერ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ყველა ზომა და მოთხოვნა უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით და შეიცავდეს შესაბამის პროცედურებსა და ინსტრუქციებს;

3.2.2. ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს ხარისხის გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელო ჩანაწერების ადეკვატური აღქმის შესაძლებლობას, მათ შორის, იგი უნდა შეიცავდეს:

ა) ხარისხის მიზნებს და დაპროექტებისა და კომპონენტის ხარისხისათვის პასუხისმგებელი მმართველობითი რგოლის სტრუქტურას და პასუხისმგებლობის დანაწილების შესახებ ინფორმაციას;

ბ) იმ პროცედურების აღწერილობას, რომლითაც განხორციელდება უსაფრთხოების კომპონენტის წარმოება, ხარისხის კონტროლი და ხარისხის შეფასება;

გ) ინფორმაციას უსაფრთხოების კომპონენტის დამზადებამდე, დამზადებისას და დამზადების შემდგომ მასზე განსახორციელებელი გამოცდების, შემოწმებების და მათი პერიოდულობის შესახებ;

დ) ხარისხის ჩანაწერებს, მათ შორის, ინსპექტირების შესახებ, შემოწმებების, დაკალიბრების ანგარიშებს და ანგარიშს პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

ე) კომპონენტის მიმართ მოთხოვნილი ხარისხის მიღწევის და ხარისხის სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგის შედეგებს;

3.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ამ ნაწილის 3.2. პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დანერგილია შესაბამისი სტანდარტების მიხედვით:

3.3.1. აუდიტორული ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს სულ მცირე ერთი სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია მოცემული უსაფრთხოების კომპონენტის ტექნოლოგიის შეფასების გამოცდილება. შეფასების პროცედურა უნდა შეიცავდეს საწარმოს ადგილზე შემოწმებას;

3.3.2. გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს დამამზადებელს. შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას;

3.4. დამამზადებელი პასუხისმგებელია საკუთარი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისათვის და უზრუნველყოფს ამ სისტემის მართებულ და ეფექტურ შენარჩუნებას:

3.4.1. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა შეატყობინოს შესაბამისობის შემფასებელ პირს, რომელმაც ჩაატარა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სერტიფიცირება, ყველა დაგეგმილი ცვლილების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში;

3.4.2. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი ცვლილებები და დაადგინოს, არის თუ არა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ამ ნაწილის 3.2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი, ან საჭიროა თუ არა განმეორებითი შეფასების ჩატარება;

3.4.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა აცნობოს დამამზადებელს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემოწმების დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

4. შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ განხორციელებული ზედამხედველობა

4.1. ზედამხედველობის მიზანია დაადასტუროს არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულებების დამამზადებლის მიერ სათანადოდ შესრულება;

4.2. დამამზადებელმა ინსპექტირების განსახორციელებლად უნდა დაუშვას შესაბამისობის შემფასებელი პირი წარმოების, გამოცდების, შემოწმებებისა და დასაწყობების ადგილებზე, ეტაპებზე, შესაბამის საწარმოო ადგილებზე და ასევე უნდა მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია, კერძოდ:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემოწმებასთან დაკავშირებული ჩანაწერები, ინსპექტირების ანგარიშები, გამოცდისა და დაკალიბრების მონაცემები და ინფორმაცია შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

4.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა პერიოდულად უნდა განახორციელოს აუდიტი, რათა დარწმუნდეს, რომ დამამზადებელი ინარჩუნებს და იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა დამამზადებელს უნდა წარუდგინოს ანგარიში აუდიტის შედეგებზე;

4.4. შესაბამისობის შემფასებელ პირს შეუძლია დამატებით განახორციელოს დაუფეგმავი ვიზიტები დამამზადებელ საწარმოში. ასეთი ვიზიტების დროს შესაბამისობის შემფასებელ პირს შეუძლია აუცილებლობის შემთხვევაში ჩაატაროს შემოწმებები, რათა დარწმუნდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სათანადო ფუნქციონირებაში. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა წარუდგინოს დამამზადებელს ანგარიში ვიზიტის შედეგების შესახებ და, თუ ჩატარდა შემოწმება, წარუდგინოს შესაბამისი შემოწმების ანგარიში.

5. დამამზადებელმა ბოლო კომპონენტის წარმოებიდან 30 წლის განმავლობაში, უფლებამოსილი ორგანოებისათვის წარსადგენად უნდა შეინახოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულია ამ ნაწილის მე-3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტში;
- ბ) ამ ნაწილის მე-3 პუნქტის 3.4.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული განახლებები;
- გ) შესაბამისობის შემფასებელი პირის გადაწყვეტილებები და ანგარიშები, რომლებიც მითითებულია ამ ნაწილის 3.4., 4.3. და 4.4. ქვეპუნქტებში.

6. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მიაწოდოს სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს სრული ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დამტკიცებისა და დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

ნაწილი IV **პროდუქტის დამოწმება** **(მოდული F)**

1. ამ მოდულში წარმოდგენილია პროცედურა, რომლის მეშვეობით დამამზადებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ამოწმებს და ადასტურებს უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობას ტიპის გამოცდის სერტიფიკატში მითითებულ ტიპსა და ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

2. დამამზადებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა დამზადების პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობა ტიპის გამოცდის სერტიფიკატში მოცემულ ტიპსა და ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან. მან თითოეულ კომპონენტს უნდა დაატანოს ნიშანდება და შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია.

3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა ჩაატაროს შესაბამისი გამოცდები და შემოწმებები უსაფრთხოების კომპონენტების ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად ამ ნაწილის მე-4 ან მე-5 პუნქტის შესაბამისად:

3.1. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა შეინახოს შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ბოლო კომპონენტის წარმოებიდან 30 წლის განმავლობაში.

4. უსაფრთხოების თითოეული კომპონენტის შემოწმება და გამოცდა

4.1. ყველა უსაფრთხოების კომპონენტი სათითაოდ უნდა გამოიცადოს და ჩაუტარდეს შესაბამისი სტანდარტებით გათვალისწინებული შემოწმება ან, მწარმოებლის გადაწყვეტილებით, ეკვივალენტური შემოწმება, ტიპის გამოცდის სერტიფიკატში მოცემულ ტიპ-

თან შესაბამისობის დასადგენად. აღნიშნული უსაფრთხოების კომპონენტები უნდა შეესაბამებოდნენ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს;

4.2. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა თითოეულ დამტკიცებულ კომპონენტზე უნდა დაიტანოს ან მოითხოვოს თავისი საიდენტიფიკაციო სიმბოლოს დატანა და წერილობითი ფორმით გასცეს შესაბამისობის სერტიფიკატი ჩატარებული გამოცდების საფუძველზე;

4.3. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელ პირს უნდა წარუდგინოს შესაბამისობის სერტიფიკატები.

5. სტატისტიკური გადამოწმება

5.1. დამამზადებელმა უნდა წარმოადგინოს უსაფრთხოების კომპონენტები ერთგვაროვანი ნიმუშების ერთობლიობის (ლოტი) სახით და უზრუნველყოს წარმოების პროცესში მათი ერთგვაროვნება;

5.2. ყველა კომპონენტი ლოტის სახით მისაწვდომი უნდა იყოს გადასამოწმებლად. ლოტებიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით აღებულ უნდა იქნეს ნიმუში. უსაფრთხოების კომპონენტების ნიმუშები ინდივიდუალურად უნდა შემოწმდეს და ჩაუტარდეს შესაბამისი სტანდარტებით გათვალისწინებული გამოცდა ან მწარმოებლის არჩევით ეკვივალენტური გამოცდა ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად და ასეთი ერთგვაროვანი ნიმუშების (ლოტის) შესაბამისობის დასადასტურებლად ან დადასტურებაზე უარის თქმის მიზნით;

5.3. სტატისტიკური გადამოწმებისას გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი ზომები:

ა) სტატისტიკური მეთოდი;

ბ) ნიმუშის აღების მეთოდი/გეგმა და ამ გეგმის განხორციელების თავისებურებები;

5.4. უსაფრთხოების კომპონენტის ლოტების შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უსაფრთხოების ყოველ კომპონენტზე უნდა დაიტანოს ან მოითხოვოს მისი საიდენტიფიკაციო ნომრის დატანა და, ჩატარებული გამოცდების საფუძველზე, გასცეს შესაბამისობის წერილობითი სერტიფიკატები. უსაფრთხოების კომპონენტის ერთობლიობიდან ყველა კომპონენტი შესაძლოა განთავსდეს ბაზარზე, გარდა იმ კომპონენტებისა, რომლებიც არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს:

5.4.1. იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების კომპონენტების ერთობლიობის შესაბამისობა არ იქნა დადასტურებული ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა ან შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა არ მოხდეს აღნიშნული ლოტიდან კომპონენტების ბაზარზე განთავსება. უსაფრთხოების კომპონენტების ერთობლიობის შესაბამისობის დადასტურებაზე ხშირი უარის შემთხვევაში შესაბამისობის შემფასებელ პირს შეუძლია შეაჩეროს სტატისტიკური დამოწმების ჩატარება;

5.4.2. დამამზადებელს წარმოების პროცესში შეუძლია დაიტანოს შესაბამისობის შემფასებელი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობით.

5.5. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს შესაბამისობის შემფასებელ პირს შესაბამისობის სერტიფიკატი.

ნაწილი V
ერთეულის დამოწმება
(მოდული G)

1. ამ მოდულში წარმოდგენილია პროცედურა, რომლითაც დამამზადებელი უზრუნველყოფს და აცხადებს, რომ მის მიერ ბაზარზე განსათავსებელი შესაბამისობის სერტიფიკატის მქონე უსაფრთხოების კომპონენტი შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტით მათთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა დაიტანოს შესაბამისობის ნიშანდება უსაფრთხოების კომპონენტზე და შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია.

2. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, უსაფრთხოების კომპონენტებს უნდა ჩაუტაროს შესაბამისი სტანდარტებით გათვალისწინებული გამოცდები და შემოწმებები, ან მის მიერ არჩეული ეკვივალენტური შემოწმებები, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა დაიტანოს ან მოითხოვოს საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომრის დატანა დამტკიცებულ უსაფრთხოების კომპონენტზე და, ჩატარებული გამოცდების საფუძველზე, გასცეს შესაბამისობის სერტიფიკატი.

3. ტექნიკური დოკუმენტაციის მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების კომპონენტის ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და მისი პროექტირების, დამზადებისა და ექსპლუატაციის პირობების შესწავლის უზრუნველყოფა.

3.1. შესაბამისობის შესამოწმებლად დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) ტიპის ზოგად აღწერილობას;
- ბ) უსაფრთხოების კომპონენტების, საამწყობრო ნაწილებისა და ელექტრული მომარაგების სქემების საპროექტო და საწარმოო ნახაზებს;
- გ) მოცემული ნახაზების, სქემებისა და უსაფრთხოების კომპონენტების ექსპლუატაციის აუცილებელ აღწერილობებსა და განმარტებებს;
- დ) დამამზადებლის მიერ უსაფრთხოების კომპონენტების ამ ტექნიკური რეგლამენტის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მიღებულ გადაწყვეტილებებს ან შესაბამისი გამოყენებული სტანდარტების ჩამონათვალს;
- ე) საპროექტო გათვლების მონაცემებს, ინფორმაციას ჩატარებული გამოცდების შესახებ და შემოწმების ანგარიშებს;
- ვ) დოკუმენტაცია უნდა მიუთითებდეს უსაფრთხოების კომპონენტის გამოყენების სფეროს.

ნაწილი VI
ხარისხის სრული უზრუნველყოფა
(მოდული H)

1. ხარისხის სრული უზრუნველყოფა წარმოადგენს პროცედურას, რომლის საშუალებითაც დამამზადებელი უზრუნველყოფს და აცხადებს, რომ უსაფრთხოების კომპონენტი შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა თითოეულ კომპონენტზე უნდა დაიტანოს შესაბამისობის ნიშანდება და შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია. ნიშანდებას თან უნდა ახლდეს იმ შე-

საბამისობის შემფასებელი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ამ ნაწილის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

2. დამამზადებელი უნდა იყენებდეს დამტკიცებულ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას უსაფრთხოების კომპონენტების პროექტირების, წარმოების და საბოლოო გამოცდის ეტაპებისთვის და უნდა ჩაატაროს შემოწმებები ამ ნაწილის მე-3 პუნქტის შესაბამისად და აღნიშნული უნდა დაექვემდებაროს ზედამხედველობას ამ ნაწილის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

3.1. დამამზადებელმა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასებაზე უნდა წარუდგინოს შესაბამისობის შემფასებელ პირს განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) ყველა შესაბამის ინფორმაციას უსაფრთხოების კომპონენტების კატეგორიის შესახებ;

ბ) ყველა შესაბამის დოკუმენტაციას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე.

3.2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობას ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან:

3.2.1. დამამზადებლის მიერ მიღებული ყველა განსახორციელებელი ზომა და დებულება უნდა იყოს დოკუმენტურად გაფორმებული წერილობითი ფორმით, პროცედურებისა და ინსტრუქციების სახით;

3.2.2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია უნდა უზრუნველყოფდეს ხარისხის მიზნებისა და მისაღები ზომების, შესაბამისი პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩანაწერების აღქმადობას;

3.2.3. დოკუმენტაცია ასევე უნდა შეიცავდეს:

ა) ხარისხის მიზნებს და დაპროექტებისა და კომპონენტის ხარისხისათვის პასუხისმგებელი მმართველობითი რგოლის სტრუქტურას და პასუხისმგებლობის დანაწილების შესახებ ინფორმაციას;

ბ) ტექნიკურ-საპროექტო დოკუმენტაციას, მათ შორის, გამოყენებული შესაბამისი სტანდარტების ჩამონათვალს. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სტანდარტები სრულად არ იქნება გამოყენებული, იმ საშუალებებს, რომლებიც გამოყენებული იქნება უსაფრთხოების კომპონენტების ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

გ) პროექტირების კონტროლის და შესაბამისი მეთოდების, სისტემატური პროცესებისა და ქმედებების აღწერას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს უსაფრთხოების კომპონენტების დაპროექტებისას;

დ) წარმოების, ხარისხის კონტროლის საშუალებების, გამოსაყენებელი პროცესებისა და სისტემატური ქმედებების აღწერას;

ე) წარმოების დაწყებამდე, წარმოების მიმდინარეობისას და წარმოების შემდგომ ეტაპებზე ჩასატარებელი გამოცდებისა და ტესტირებების და მათი ჩატარების სიხშირის შესახებ ინფორმაციას;

ვ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს, მათ შორის, ინსპექტირების ანგარიშებს და გამოცდების ანგარიშებს, დაკალიბრების მონაცემებს და შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ მონაცემებს;

ზ) კომპონენტის მოთხოვნილ პროექტთან, მის ხარისხთან და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის მეთოდებს.

3.3. დამამზადებელი პასუხისმგებელია ხარისხის უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისათვის და უზრუნველყოფს ამ სისტემის ფუნქციონირების ეფექტურ შენარჩუნებას:

3.3.1. აუდიტორული ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს სულ მცირე ერთი სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია მოცემული უსაფრთხოების კომპონენტის ტექნოლოგიის შეფასების გამოცდილება. შეფასების პროცედურა უნდა შეიცავდეს საწარმოს ადგილზე შემოწმებას;

3.3.2. გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს დამამზადებელს. შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

3.4. დამამზადებელი პასუხისმგებელია საკუთარი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისათვის და უზრუნველყოფს ამ სისტემის მართებულ და ეფექტურ შენარჩუნებას:

3.4.1. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა შეატყობინოს შესაბამისობის შემფასებელ პირს, რომელმაც ჩაატარა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისობის შეფასება, ყველა დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში;

3.4.2. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი ცვლილებები და მიიღოს გადაწყვეტილება, ისევ აკმაყოფილებს თუ არა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამის მოთხოვნებს, ან საჭიროებს თუ არა განმეორებით შეფასების ჩატარებას;M

3.4.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა აცნობოს დამამზადებელს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემოწმების დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

4. შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ განხორციელებული ზედამხედველობა

4.1. ზედამხედველობის მიზანია დამამზადებლის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის დამტკიცებულ სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება;

4.2. დამამზადებელმა შესამოწმებლად უნდა დაუშვას შესაბამისობის შემფასებელი პირი პროექტირების, წარმოების, შემოწმებებისა და გამოცდების ეტაპებზე, შენახვის ადგილებზე და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია, კერძოდ:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პროექტირების ნაწილის შემოწმებასთან დაკავშირებული ჩანაწერები, ჩატარებული ანალიზის, გათვლებისა და გამოცდების შედეგები;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის წარმოების ნაწილის შემოწმებასთან დაკავშირებული ჩანაწერები, ინსპექტირების ანგარიშები, გამოცდისა და დაკალიბრების მონაცემები და ინფორმაცია შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

4.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა პერიოდულად უნდა აწარმოოს აუდიტი, რათა დარწმუნდეს, რომ დამამზადებელი იყენებს და ინარჩუნებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა დამამზადებელს უნდა წარუდგინოს ანგარიში აუდიტის შედეგებზე;

4.4. შესაბამისობის შემფასებელ პირს შეუძლია დამატებით განახორციელოს დაუფ-
ვგმავი ვიზიტები დამამზადებლის საწარმოში. ასეთი ვიზიტების დროს შესაბამისობის შემ-
ფასებელ პირს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს გამოცდები ხარისხის უზრუნ-
ველყოფის სისტემის სათანადო ფუნქციონირების შემოწმების მიზნით. შესაბამისობის შემ-
ფასებელმა პირმა უნდა წარუდგინოს დამამზადებელს ანგარიში ვიზიტის შედეგების შესა-
ხებ და გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, წარუდგინოს გამოცდის შესაბამისი ოქმი.

5. დამამზადებელმა ბოლო უსაფრთხოების კომპონენტის დამზადებიდან 30 წლის
განმავლობაში, უფლებამოსილი ორგანოსათვის წარსადგენად უნდა შეინახოს შემდეგი ინ-
ფორმაცია:

ა) დოკუმენტაცია, რომელიც მოყვანილია ამ ნაწილის 3.1. ქვეპუნქტის „ბ“ ქვეპუნ-
ქტში;

ბ) ამ ნაწილის 3.4.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული განახლებები;

გ) შესაბამისობის შემფასებელი პირის გადაწყვეტილებები და ანგარიშები, რომლე-
ბიც მითითებულია ამ ნაწილის 3.4., 4.3. და 4.4. ქვეპუნქტებში.

6. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მიაწოდოს სხვა შესაბამისობის შემფასე-
ბელ პირებს ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დამტკიცებისა და დამტკი-
ცებაზე უარის თქმის შესახებ.

7. დამატებითი მოთხოვნები პროექტის შემოწმებისას

7.1. დამამზადებელმა პროექტის შემოწმებაზე განაცხადი უნდა წარუდგინოს მხო-
ლოდ ერთ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

7.2. განაცხადი უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოების კომპონენტების დაპროექ-
ტებასთან, დამზადებასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღქმადო-
ბას და ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შესაძლებ-
ლობას. განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) პროექტირების ტექნიკურ დოკუმენტაციას;

ბ) გამოყენებულ შესაბამის სტანდარტებზე მითითებებს და საჭიროების შემთხვევა-
ში მტკიცებულებებს მათი გამოყენების აუცილებლობის შესახებ;

გ) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სტანდარტები არ იქნა გამოყენებული სრულად,
დოკუმენტაცია დამატებითი მტკიცებულების სახით უნდა შეიცავდეს დამამზადებ-
ლის/მისი წარმომადგენლის მიერ განხორციელებული აუცილებელი ლაბორატორიული
კვლევის შედეგებს.

7.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეამოწმოს განაცხადი და, თუ პროექ-
ტი შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, გასცეს პროექტის შემოწმების
სერტიფიკატი. სერტიფიკატი უნდა მოიცავდეს გამოცდების დასკვნებს, სერტიფიკატის
მოქმედების პირობებს, დამტკიცებული პროექტის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელ
მონაცემებს და საჭიროების შემთხვევაში, კომპონენტის ფუნქციონირების აღწერილობას.

7.4. განმცხადებელმა უნდა აცნობოს შესაბამისობის შემფასებელ პირს, რომელმაც
გასცა პროექტის შემოწმების სერტიფიკატი, დამოწმებულ პროექტში განხორციელებული
ყველა ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს უსაფრთხოების
კომპონენტის გამოყენების პირობებზე ან მისი პროექტის შესაბამისობაზე ამ ტექნიკური
რეგლამენტის მოთხოვნებთან. აღნიშნულმა ცვლილებებმა უნდა გაიარონ დამატებითი და-
მოწმება ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ. დამატებითი დამოწმე-

ბა წერილობითი ფორმით თან დაერთვება პროექტის შემოწმების სერტიფიკატს დანართის სახით.

7.5. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მიაწოდოს სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) პროექტის შემოწმების სერტიფიკატისა და დამატებების გაცემის შესახებ;
- ბ) პროექტის შემოწმების სერტიფიკატისა და დამატებების გაუქმების შესახებ;
- გ) პროექტის შემოწმების სერტიფიკატისა და დამატებების გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი N6

ქვესისტემების შესაბამისობის დეკლარაცია

1. ეს დანართი ეხება ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ ქვესისტემებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

2. დამამზადებელმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ან მათი იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ქვესისტემის ბაზარზე განმათავსებელმა პირმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია. დეკლარაცია და თანდართული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა იყოს დათარიღებული და ხელმოწერილი.

3. შესაბამისობის დეკლარაცია და ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს იმავე ენაზე, რომელ ენაზეც ამ ტექნიკური რეგლამენტის N2 დანართის 7.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობებია შედგენილი, და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) მითითებას ამ ტექნიკურ რეგლამენტზე;
- ბ) ქვესისტემის გამოცდის ჩატარებაზე დამკვეთი პირის სახელსა და მისამართს;
- გ) ქვესისტემის აღწერილობას;
- დ) გამოცდის ჩამტარებელი შესაბამისობის შემფასებელი პირის სახელს და მისამართს;
- ე) ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ქვესისტემა, კერძოდ, საექსპლუატაციო შეზღუდვებს და პირობებს;
- ვ) ამ ტექნიკური რეგლამენტის N7 დანართით გათვალისწინებული გამოცდის შეფასების შედეგებს;
- ზ) იმ პირის შესახებ მონაცემებს, რომელიც უფლებამოსილია შესაბამისობის დეკლარაციაზე მოაწეროს ხელი ქვესისტემის დამამზადებლის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან ბაზარზე განმათავსებლის ნაცვლად.

დანართი N7

ქვესისტემის შესაბამისობის შეფასება

1. ქვესისტემის შესაბამისობის შემოწმება არის პროცედურა, რომლის მეშვეობით დამზადებლის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან მათი არყოფნის შემთხვევაში, პროდუქტის ბაზარზე განმთავსებელი ნებისმიერი პირის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისობის შემფასებელი პირი ამოწმებს და ადასტურებს, რომ ქვესისტემა:

- ა) შესაბამისობაშია ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან;
- ბ) შესაბამისობაშია ტექნიკურ დოკუმენტაციასთან;
- გ) მზადაა ექსპლუატაციისათვის.

2. ქვესისტემის შემოწმება ტარდება მისი დაპროექტების, დამზადებისას და დამზადების დასრულების შემდგომ.

3. გამოცდის სერტიფიკატზე თანდართული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) აგების გეგმებს და გამოთვლებს;
- ბ) ელექტრონულ და ჰიდრავლიკურ სქემებს;
- გ) მართვისა და კონტროლის წრედების სქემებს;
- დ) კომპიუტერული და ავტომატური სისტემების აღწერილობას;
- ე) ექსპლუატაციისა და მომსახურების ინსტრუქციებს;
- ვ) ქვესისტემებში გამოყენებული, ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების კომპონენტების ჩამონათვალს;
- ზ) უსაფრთხოების კომპონენტების შესაბამისობის დეკლარაციის ასლებს ამ ტექნიკური რეგლამენტის N4 დანართის შესაბამისად;
- თ) შესაბამისი აგების გეგმებს;
- ი) სხვა განხორციელებული გამოცდებისა და ტესტირებების შესახებ ინფორმაციას;
- კ) აგების გეგმებსა და სხვა ჩატარებული გამოცდების თუ შემოწმებების ანგარიშების ასლებს.

4. ზემოთ მითითებული დოკუმენტები შედგენილი უნდა იქნეს იმავე ენაზე, რომელზეც შედგენილ იქნა ამ ტექნიკური რეგლამენტის N2 დანართის 7.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობები.

5. ზედამხედველობა

5.1. ზედამხედველობის შედეგად უნდა დადასტურდეს, რომ ქვესისტემები აგებულია სათანადო ტექნიკური დოკუმენტის შესაბამისად.

5.2. შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის, რომელიც პასუხისმგებელია გამოცდის ჩატარებისათვის, მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამზადებისა და შენახვის ადგილები, გამოსაცდელი საწარმოები და ნებისმიერი სხვა ადგილი, სადაც იგი ჩათვლის აუცილებლად, რომ მივიდეს თავისი ფუნქციის სრულყოფილად შესასრულებლად.

5.2.1. დამამზადებელი, მისი წარმომადგენელი ან მათი იდენტიფიკაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, ქვესისტემის ბაზარზე განმთავსებელი პირი, ვალდებულია ქვესისტემას თან დაურთოს ყველა აუცილებელი გეგმა და ტექნიკური დოკუმენტაცია.

5.3. გამოცდისათვის პასუხისმგებელმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა ჩაატაროს პერიოდული აუდიტი, ქვესისტემების ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ყოველი ასეთი აუდიტის დროს მან უნდა უზრუნველყოს ადგილზე ზედამხედველის ყოფნა.

5.4. შესაბამისობის შემფასებელ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს სამუშაოს სხვადასხვა სტადიებზე დასწრება ინსპექტირების განსახორციელებლად. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა შეიძლება განახორციელოს დაუგეგმავი ვიზიტები წარმოების ადგილზე და ასეთი ვიზიტის დროს ჩაატაროს სრული ან ნაწილობრივი აუდიტი. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეადგინოს აუდიტის ანგარიში და აუცილებლობის შემთხვევაში გადასცეს აუდიტის ანგარიში ადგილზე ზედამხედველს.

6. ყველა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა პერიოდულად უნდა გამოაქვეყნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) გამოცდასთან დაკავშირებით ყველა მიღებული განაცხადის თაობაზე;
- ბ) გამოცდის შედეგად გაცემული სერტიფიკატის შესახებ;
- გ) გამოცდის შედეგად სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.